



ადმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

## ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება გენერალური პროკურორის კონკურსთან დაკავშირებით

2019 წლის 12 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც შალვა თადუმაძე პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ აირჩია, გენერალური პროკურორის თანამდებობა ვაკანტური გახდა. მას საპროკურორო საბჭოს 2/3-ით მხარდაჭერილ კანდიდატს, საკანონმდებლო ორგანო 76 ხმით ამტკიცებს.<sup>[1]</sup>

საპროკურორო საბჭომ უკვე დაიწყო გენერალური პროკურორის შერჩევის პროცედურები. ამ კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი მიმდინარეობს. გენერალური პროკურორის მიმდინარე კონკურსთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გაკეთდა. მათ შორის არსებულ ვითარებას განცხადებით გამოეხმაურა კოალიცია „[დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის](#)“, სადაც კრიტიკულად არის შეფასებული პროცესის გამჭვირვალობა და სამართლიანობა, შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების არ არსებობა, გამოკვეთილია პოლიტიკური კონსენსუსისა და პოლიტიკური გავლენებისგან პროცესის გათავისუფლების მნიშვნელობა.

გენერალური პროკურორობის პრეტენდენტთა შორისაა ირაკლი შოთაძე,<sup>[2]</sup> ყოფილი მთავარი პროკურორი, რომელმაც თანამდებობა 2018 წლის 31 მაისს ხორავას ქუჩის საქმის თაობაზე მასშტაბური საპროტესტო გამოსვლის შემდეგ დატოვა, როგორც ხელმძღვანელმა, რომელმაც ვერ შეძლო მასზე დაკისრებული მოვალეობისთვის თავის

გართმევა და მართლმსაჯულების პროცესში მასზე დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება.

კანონის მიხედვით გენერალურ პროკურორად შეიძლება დაინიშნოს პირი, **რომელიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს.**<sup>[3]</sup> ბატონი შოთაძე კი ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს, მეტიც მისი ორი წლის მერე ყოფილ თანამდებობაზე დაბრუნების მცდელობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს გადადგომის დროს მის კეთილსინდისიერებას, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარს.

სწორედ ამიტომ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მოვეუწოდებთ:

- **საპროკურორო საბჭოს, პარლამენტში არ წარადგინოს ირაკლი შოთაძის კანდიდატურა, ასევე სხვა პირის წარდგენის შემთხვევაში დაასაბუთოს კანდიდატის მინიმალური შესაბამისობა გენერალური პროკურორისთვის წარდგენილ მოთხოვნებთან;**

- **პარლამენტს საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის კონსენსუსისა და არა უმრავლესობის საფუძველზე, რაც ახლად გამწვანებული გენერალური პროკურორის პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და ლეგიტიმაციას შეუწყობს ხელს.**

### **ხელმომწერი ორგანიზაციები:**

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
5. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
6. ახალგაზრდული ალტერნატივა
7. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. მსოფლიოო გამოცდილება საქართველოსთვის
9. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



10. ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
11. "საზოგადოებრივი განვითარების აკადემია"
12. სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი"
13. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
14. ასოციაცია "გადავარჩინოთ მომავალი თაობა"
15. „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის"
16. ა.ი.პ. „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო"
17. ჩართულობის და განვითარების ცენტრი

---

[1] პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი, მე-16 მუხლი.

[2] ირაკლი შოთაძე გენერალური პროკურორობის კანდიდატად წარადგინეს, რადიო თავისუფლება, 2020 წლის 16 იანვარი, ხელმისაწვდომია:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/30380606.html>, განახლებულია: 04.02.2020.

[3] პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონი, მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი.